მომხს: დ. ქსოვრელიშვილი

<u>**პროექტი**</u>

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

„-----“ დეკემბერი 2019 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტში 2020 წელს განსახორციელებელი
ძეგლთა დაცვის პროგრამის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. დამტკიცდეს თელავის მუნიციპალიტეტში 2020 წელს განსახორციელებელი ძეგლთა დაცვის პროგრამა დანართის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს **2020 წლის 01 იანვრიდან.**
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე **არჩილი თხლაშიძე**

დანართი

თელავის მუნიციპალიტეტში 2020 წელს განსახორციელებელი

ძეგლთა დაცვის პროგრამა

№	ობიექტის დასახელება	განსახორციელებელი სამუშაოები	განხორციელების პერიოდი	თანხა (ლარი)
1	ყორჩიბაშიშვილების ციხე	სამხრეთ-აღმოსავლეთ ბურჯის რეაბილიტაცია	წლის განმავლობაში	49 700
2	დაბახნები	დაბახნების ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოები და პროექტის შესყიდვა	წლის განმავლობაში	20 300
3	დაბახნები	არქეოლოგიური ობიექტის კონსერვაციის პროექტის შესყიდვა	წლის განმავლობაში	7 600
4	თეთრიწყლები/ნაქალაქარი	არქეოლოგიური დაზვერვითი სამუშაოები და პროექტის შესყიდვა	წლის განმავლობაში	20 500
5	კვირიკეს ციხე	ძვ. გალავნის არქეოლოგია და პროექტის შესყიდვა	წლის განმავლობაში	20 300
6	ვანთის სასახლის (მცირე ეკლესიის) კონსერვაცია	საკონსერვაციო პროექტისა და სამუშაოების შესყიდვა	წლის განმავლობაში	15 050
7	წინანდლის მთავარანგელოზის სახ. ეკლესია (ტოღნიანი)	რეაბილიტაციის პროექტის შესყიდვა	წლის განმავლობაში	10 500
8	ციხის წისქვილისა და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება	დასუფთავების პროექტისა და სამუშაოების შესყიდვა	წლის განმავლობაში	5 000
9	ქართველების სასაფლაოზე არსებული ეკლესია	რეაბილიტაციის პროექტის შესყიდვა	წლის განმავლობაში	15 000
10	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ძეგლები	კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საგამომცემლო საქმიანობა	წლის განმავლობაში	6 050
11	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების განათება	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების განათების სამუშაოები	წლის განმავლობაში	3 000
12	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები	ჩასატარებელი სამუშაოების სანებართვო მოსაკრებელი	წლის განმავლობაში	100
	ჯამური თანხა (ლარი)			**173 100**

საკრებულოს თავმჯდომარე **არჩილი თხლაშიძე**

ქ. თელავი 13.12.2019 წ.

განმარტებითი ბარათი

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებული პროექტი ეხება თელავის მუნიციპალიტეტში 2020 წელს განსახორციელებელი ძეგლთა დაცვის პროგრამის დამტკიცებას. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი განისაზღვრება 173 100 ლარით და ითვალისწინებს შემდეგი ღონისძიებების განხორციელებას:

1. **ყორჩიბაშიშვილების ციხე - სამხრეთ-აღმოსავლეთ ბურჯის რეაბილიტაცია** - საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა მოხდა 2019 წელს. პროქტის მიხედვით სამუშაოების ღირებულება შეადგენს 49700 ლარს.
2. **დაბახნების ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოები** - ტერიტორიაზე 2018 წელს დაიწყო სადაზვერვო - არქეოლოგიური სამუშაოები, რის შედეგადაც გამოვლინდა თავდაცვითი ნაგებობის (კედლის) ნაწილი, რაც გვაძლევს მნიშვნელოვან და ახალ ინფორმაციას ქ. თელავის ისტორიის შესახებ. დაზვერვების შემდეგ განისაზღვრა ტერიტორიები, სადაც საჭიროა საველე-კვლევითი (არქეოლოგიური) სამუშაოების გაგრძელება. პროექტის შესყიდვა - 300 ლარი, არქეოლოგიური სამუშაოები 20000 ლარი, სულ - 20300 ლარი.
3. **დაბახნების არქეოლოგიური ობიექტის კონსერვაციის პროექტის შესყიდვა** - 7600 ლარი. არქეოლოგიური ობიექტის შენარჩუნების და სწორი ინტერპრეტაციისთვის აუცილებელია მის მიმართ რეაბილიტაციის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებით მიდგომა. ამასთანავე, ქალაქის ტერიტორიაზე მიმდინარე ტურისტული მარშრუტების დაგეგმვასთან დაკავშირებით, რომლის ბილიკიც გაივლის აღნიშნულ მონაკვეთში, აუცილებელია ნაგებობების ვიზუალური აღქმადობა იყოს მოწესრიგებული.
4. **თეთრიწყლები/ნაქალაქარი - არქეოლოგიური დაზვერვითი სამუშაოები** - 2018-2019 წლებში წარმოებულმა სადაზვერვო - არქეოლოგიურმა სამუშაოებმა გამოავლინა მნიშვნელოვანი ნაგებობების ნაშთები და სხვადასხვა პერიოდის არტეფაქტები (სავარაუდოდ ძვ.წ. II-I ათ. – ახ.წ. XII – XIII ს. ს.). მათი ისტორიული ღირებულების, ნაქალაქარის გავრცელების არეალის და რაობის დაზუსტების მიზნით აუცილებელია სამუშაოების გაგრძელება. ამასთანავე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, თელავის მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად გამოთქვამს მზადყოფნას ამ მნიშვნელობანი ობიექტის კვლევა-ძიებაში ჩართულობის მხრივ, რაც თავისთავად გულისხმობს მათი მხრიდან ყოველმხრივ მხარდაჭერას. მიმდინარე წელს არქეოლოგიური სამუშაოების დროს კონკრეტულ ლოკაციაზე მთლიანად გაითხარა სადგომის ტიპის, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ნაგებობა და ქვედა ტერასა. სადგომში 2018 წელს გამოვლენილ მასალას (ხაროს) დაემატა საკურთხეველი, სამეურნეო დანიშნულების სათავსები. მნიშვნელოვანა, რომ ანალოგიური ტიპის ნაგებობები იკვეთება ამავე შენობის მიჯრით, რაც ზემოაღნიშნული პერიოდისთვის არის დამახასიათებელი და საკმაოდ მრავლად არის განვითარებული კონკრეტულ ტერასაზე. პროექტის შესყიდვა - 500 ლარი, სადაზვერვო და არქეოლოგიური სამუშაოები - 20 000, სულ - 20 500 ლარი.

5. **კვირიკეს ციხე - ძვ. გალავნის არქეოლოგია და პროექტის შესყიდვა** - 20300 ლარი.
   2018 წელს ჩატარებული სამუშაოების დროს გამოვლენილი კვირიკესეული სასახლის ნაშთები მოითხოვს სრულ არქეოლოგიას, რაც გულისხმობს ნაშთების ბოლომდე წარმოჩენას, შემდგომი მოვლა-პატრონობისა და განვითარების მიზნით.
6. **ვანთის სასახლის (მცირე ეკლესიის) კონსერვაცია / საკონსერვაციო პროექტისა და სამუშაოების შესყიდვა** - ძეგლთა დაცვის ღონისძიებების მიმართ ყოველწლიურად იზრდება ბიუჯეტი. მოცემულ მომენტში დღის წესრგში დგება საეკლესიო ნაგებობების მოვლის აუცილებლობა. იმის გამო, რომ დღემდე მოღწეული ეკლესია-მონასტრების მნიშვნელოვანი ნაწილი მოითხოვს შენარჩუნებას და შემდგომ განვითარებას, მათზე მნიშვნელოვანი ფინანსური ხარჯებია საჭირო, ამიტომ თელავის მუნიციპალიტეტის მერია შესაძლებლობის ფარგლებში, ეტაპობრივად იწყებს აღნიშნული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მიმართ გარკვეულ ღონისძიებებს.
   2014-2015 წლებში ვანთის სასახლის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების დროს გამოიკვეთა, რომ სასახლის ტერიტორიაზე მდებარე მცირე ზომის ეკლესია განეკუთვნება ადრე შუასაუკუნეების ნაგებობას. ეკლესიაზე ამ დრომდე არ ჩატარებულა ძეგლის მიმართ სათანადო დაცვითი მიდგომები, რაც გულისხმობს მის კონსერვაციას. აღნიშნული ღონისძიება კი საბოლოო ჯამში ძეგლის შენარჩუნებას უწყობს ხელს. პროექტის შესყიდვა - 5050 ლარი, საკონსერვაციო სამუშაოების შესყიდვა 10000 ლარი.
7. **წინანდლის მთავარანგელოზის სახ. ეკლესია (ტოღნიანი)** - პროექტის არსებობის შემთხვევაში, მოსახლეობის მხრიდან გამოითქვა აღნიშნული ძეგლის რეაბილიტაციის სურვილი. საკულტო დანიშნულების ძეგლის შენარჩუნებისთვის, თელავის მუნიციპალიტეტის მერია, პროექტის შესაძენად დახარჯავს 10500 ლარს.
8. **ციხის წისქვილისა და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავების პროექტისა და სამუშაოების შესყიდვა** - 5000 ლარი. ძეგლის მდებარეობისა და მისი ვიზუალური აღქმის მიზნით აუცილებლობა მოითხოვს აღნიშნული ობიექტის მოწესრიგებას. ძეგლი, რომელიც მდებარეობს ცენტრალურ ტურისტულ მარშრუტში (ალ. ჭავჭავაძის სახლმუზეუმი), არსებული მოცემულობიდან გამომდინარე მისი ამ სახის ვიზუალით არსებობა დაუშვებელია.
9. **ქართველების სასაფლაოზე არსებული ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტის შესყიდვა** - 15000 ლარი. ძეგლის არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, რომელიც გადაუდებელ პრევენციულ ჩარევებს მოითხოვს, მისი გადარჩენისთვის, საჭიროა სარეაბილიტაციო პროექტის შეძენა, სადაც ბიუჯეტის შესაძლებლობის ფარგლებში, ეტაპობრივად იქნება გაწერილი ძეგლის რეაბილიტაციის პროცესი.
10. **კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საგამომცემლო საქმიანობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ისტორიულ ძეგლებზე** - 6050 ლარი.
    კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საგამომცემლო საქმიანობა გულისხმობს პროექტების ხელშეწყობას და ისტორიულ - კულტურული შემეცნებითი ღონისძიებების განხორციელებას. მოწვეულ ექსპერტებთან ერთად საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო - პრაქტიკული კონფერენციების, სესიების, სიმპოზიუმების, თათბირების, სემინარების და გამოფენების მოწყობას, კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული გზამკვლევების, ბროშურების, ჟურნალების, ბუკლეტების ბეჭდვას.

11. **კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების განათება** გულისხმობს ძეგლის ვიზუალურ ეფექტს, რაც კარგად წარმოაჩენს ისტორიული ძეგლის გარეგან სახეს, რაზედაც დაიხარჯება 3 000 ლარი.
12. **კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების სანებართვო მოსაკრებელი** - წლის განმავლობაში განსახორციელებული პროექტების სანებართვო მოსაკრებელი - 100 ლარი.